ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 97

6 აპრილი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ქ. თბილისის №182 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის (ს/კ № 206034316) და ა(ა)იპ - ქ. თბილისის №132 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის (ს/კ №405066039) გარკვეული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" პუნქტისა და 122-ე მუცლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 მარტის №11.25.286 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:

ა) ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კორპუსი №1-ის მიმდებარედ 9162 კვმ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1 საერთო ფართით 2479,72 კვმ. (მ/შ 1 სართული - 1278,3 კვმ, 2 სართული - 1201,42 კვმ.) (საკადასტრო კოდი: 01.17.10.002.237.) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ -ქ. თბილისის №182 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის (ს/კ №206034316) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

ბ) ქ. თბილისში, კიევის ქუჩა №2/ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №57-ში მდებარე 361,72 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.003.043.01.505.) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ -ქ. თბილისის №132 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის (ს/კ №405066039) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი